

**INTERNATIONAL DIPLOMACY - TREATIES CONCLUDED BETWEEN THE HITTITE KING SUPPILULIUMA I AND THE MITANNI KING SHATTIWAZA (14TH CENTURY BC)**

საერთაშორისო დიპლომატია - ხეთების მეფე სუფილულიუმა I-სა და მითანის მეფე შათივაზას შორის დადებული ხელშეკრულებები (ქ.წ. XIV ს.)

**MAIA GAMBASHIDZE,**

Iv. Javakhishvili Tbilisi State University,

Chavchavadze St. #1 Tbilisi, Georgia,

Ass. Prof., Tel.: 599960904

[maia.ghambashidze@tsu.ge](mailto:maia.ghambashidze@tsu.ge)

ORCID 0000-0002-1008-2869

**Abstract:** Translations of the texts of treaties concluded between the Hittites and the Kingdom of Mitanni (Hurrites) in the 14th century BC are provided.

**Keywords:** Ancient Near East, Assyriology, Hittitology, History of Diplomats, Treaty.

**მაია დამბაშიძე,**

ივ. ჯავახიშვილის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის ქ. #1

დოქტ., ასოც. პროფ., ტელ.: 599960904,

[maia.ghambashidze@tsu.ge](mailto:maia.ghambashidze@tsu.ge)

ORCID 0000-0002-1008-2869

**აბსტრაქტი:** მოცემულია ქ.წ. XIV საუკუნეში ხეთებსა და მითანის (ხურიტების) სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულებების ტექსტების ანალიზი და თარგმანები.

**სამიეზო სიტყვები:** ძველი ახლო აღმოსავლეთი, ხეთოლოგია, ასირიოლოგია, დიპლომატიის ისტორია, ხელშეკრულება.

### შესავალი

დიდი ხნის მანძილზე ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ რომი და საბერძნეთი ის ქვეყნები იყო, სადაც უნდა წარმოშობილიყო პირველი ისტორიოგრაფიული, სამართლებრივი, ლიტერატურული, მითოლოგიური თუ ეკონომიკური ძეგლები. მაგრამ დადგა მე-XIX-ე საუკუნე და ევროპელი მეცნიერები დაინტერესდნენ ძველი მახლობელი აღმოსავლეთით. არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოაჩინა მრავალი ისეთი ფაქტი, რამაც თავდაყირა დააყენა

ისტორიკოსთა მოსაზრებანი. პირველ რიგში, ეს იყო ის ლურსმნულწარწერიანი თიხის ფირფიტები, რომლებიც უხვად აღმოჩნდა ერაყში, ირანში, სირიასა და თურქეთში. ლურსმნული დამწერლობის გამიფრვის შედეგად დადგინდა, რომ პირველი ისტორიკოსები და ლიტერატორები არა რომაელები და ბერძნები, არამედ, ძველი წინა აზიის ბინადარნი - შუმერები, ასურელები, ხეთები და ხურიტები ყოფილან. თიხის ფირფიტებზე დაწერილი ამბები მოგვითხრობენ ძველი წინა აზიის ხალხთა ისტორიაზე, ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებაზე.

ჩვენს ხელთაა ისტორიული ხასიათის ტექსტები, რომელთაგან მნიშვნელოვანია ე.წ. სამეფო „ანალები“, საერთაშორისო კორესპონდენცია, დიპლომატიური ხელშეკრულებები და სხვ. ჩვენდა სასიხარულოდ, აღმოჩენილ ფირფიტებს შორის მეტად საინტერესოდ და მრავლად არის დიპლომატიური შინაარსის ტექსტებიც.

საერთაშორისო ხელშეკრულებას დებდა, სავარაუდოდ, ძველი წინა აზიის არაერთი მეფე თავის მეზობელ თუ სხვა სახელმწიფოსთან. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოგვრჩა ხეთ მეფეთა მიერ დადებული ხელშეკრულებები სხვადასხვა სახელმწიფოს მეთაურებთან. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ხეთების მიერ დასახლებული ტერიტორია, ანუ, ცენტრალური ანატოლია ითვლებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გასაყარად. ხეთებს უხდებოდათ ურთიერთობების „ოთხივ მხრივ“ დარეგულირება. ამის შესახებ წერს ხეთების „ახალი სამეფოს“ ერთ-ერთი გამორჩეული მეფე, ხათუსილი III თავის „აპოლოგიაში“: „ისინი, ვინც ჩემს წინ მეფეები იყვნენ და ვინც (ხათის ქვეყანასთან) კარგ ურთიერთობაში იყო, ჩემს დროსაც კარგ ურთიერთობაში დარჩა. ისინი მიგზავნიდნენ მაცნეებს, მიგზავნიდნენ საჩუქრებს. ასეთი საჩუქრები მამაჩემისთვის და ჩემი წინაპრებისთვის არასდროს არ გამოუგზავნიათ. ის მეფე, რომელიც ვალდებული იყო პატივი ეცა ჩემთვის, პატივს მცემდა. ხოლო მე დავამარცხე მტრის ქვეყნები. მათი მიწა-წყალი ხათის სამეფოს შემოვუერთე. ყველამ, ვინც მამაჩემისა და ჩემი წინაპრების მტერი იყო, ჩემთან მშვიდობა დაამყარა“.

ტექსტის ეს ეპიზოდი გვიჩვენებს, რომ ხეთების აზრით, უცხო ქვეყნები ან მათი მტრები იყვნენ ან მეგობრები. ნეიტრალიტეტს ისინი არ სცნობდნენ. ხეთების საგარეო პოლიტიკა, სულერთია, ბრძოლით თუ მშვიდობიანი გზით მიღწეული, ემსახურებოდა მტრულად განწყობილი ქვეყნების შემცირებას. ხეთები ასეთ ქვეყნებს ან თავიანთ ვასალებად აქცევდნენ, ან კიდევ თანასწორად მიიჩნევდნენ. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად დამორებულები იყვნენ ისინი ხათის სამეფოდან, აგრეთვე, როგორ კულტურულ დონეზე იდგნენ, როგორი სამხედრო შენაერთები და ეკონომიკური ძლიერება ჰქონდათ.

ხეთების ძველი სამეფოს დასასრულიდან (ქ.წ. XVI ს.) მოგვეპოვება ხეთების მიერ დადებული ხელშეკრულებების ტექსტები, რომლებსაც ხეთები ყოველ ახალ მოკავშირესთან დებდნენ. ხელშეკრულების დადებას ისინი სამეფოს მართვისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამაზე მეტყველებს ის, რომ ძველი წინა აზიის ხელშეკრულებების ნახევარზე მეტი ხეთური არქივებიდანაა ცნობილი. ამ სახის დაახლოებით 35 ტექსტი მოგვეპოვება ხათის სამეფოდან, კიდევ სხვა, ჩვენთვის უცნობ ხელშეკრულებებზეა საუბარი სხვა სახის ტექსტებში, მაგრამ ისინი ჯერ აღმოჩენილი არ არის.

იმდენად მნიშვნელოვანი იყო ხეთებისათვის „ყველა მხრივ“ მშვიდობის დამყარება და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გარკვევა, რომ მათ მოსაზღვრე ქასქებთანაც კი დადეს ხელშეკრულება, თუმც, ისინი ხეთების ტერიტორიის რბევას მაინც აგრძელებდნენ.

მრავალი ხეთური ხელშეკრულება იყო შედგენილი აქადურ ენაზე, რომელიც იმ დროის დიპლომატიურ ენად ითვლებოდა. მაგრამ, საბუთების შესადგენად ასევე გამოიყენებოდა ხეთური ენაც. როგორც წესი, ანატოლიის მიწაზე მცხოვრებ ხალხთან ხეთები ხეთურ ენაზე

დებდნენ ხელშეკრულებას, ხოლო სირიისა და სხვა მიწებზე მყოფ ხალხებთან – აქადურად. ასეთი დოკუმენტების სახელწოდება ორივე ენაზე ითარგმნებოდა, როგორც „ფიცის დადება“ (ხეთური iṣḫiul და lingai-, აქადურად rikiltu/ rikištu/riksu, māmitu). ხელშეკრულება შედგებოდა სამი ნაწილისგან: „შეთანხმება“, „წყევლა“ და „დალოცვა“. მხარეები მოწმეებად მოიხმობდნენ ღვთაებებს. უნდა აღინიშნოს, რომ მოხელეებისათვისა და სამეფო დაცვის წევრებისათვის ხეთი მეფის მიერ გაცემულ ინსტრუქციებს აგრეთვე ერქვა iṣḫiul. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხეთები ცნებებრივად ფუნდამენტურად არ განასხვავებდნენ მათი მეფის საშინაო და საგარეო ვალდებულებებს.

ვინაიდან ხეთ მმართველს არც თუ ისე ბევრი თანასწორი მმართველი ჰყავდა გარშემო, ხელშეკრულებების უმეტესობა მაინც ვასალური შინაარსისაა. მურსილი II-ს დროს (ქ.წ. 13 ს.), ვისი მეფობის პერიოდის ყველაზე მეტი ხელშეკრულება მოგვეპოვება, ეს დოკუმენტი მზადდებოდა როგორც დასავლეთ ანატოლიაში არსებული სახელმწიფოებისათვის, ასევე სამხრეთელი და აღმოსავლელი მეზობლებისთვის.

ვასალური ხელშეკრულება ხათის მეფის კანცელარიაში იქმნებოდა და მას ხელქვეით მმართველს გადასცემდნენ. ვასალი ვალდებული იყო დაეფიცა აურაცხელი ღვთაების წინაშე, რომ დაიცავდა ხელშეკრულების მიხედვით აღებულ ვალდებულებებს. ერთ-ერთ ტექსტში წერია: „ეს სიტყვები არავითარ შემთხვევაში არ არის ორმხრივი. იგი შედგენილია ხათის ქვეყანაში“. ანუ, ხეთები წყვეტდნენ, რა ჩაეწერათ ხელშეკრულებაში. იფიცებდა მხოლოდ ვასალი. ხელშეკრულებები იწერებოდა ხის ან ლითონის ფირფიტაზე (ხანდახან ვერცხლის, უფრო ხშირად კი - ბრინჯაოს ან, მოგვიანო ხანაში - რკინისა). ერთადერთი აღმოჩენილი ბრინჯაოს ფირფიტის გარდა, ყველა ამ ხელშეკრულებათა თიხის ფიფიტებზე შესრულებული ასლებია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვასალური ხელშეკრულებები იყო გარანტი ხეთების სამეფოს მთლიანობისა. ვასალები ვერ ბედავდნენ ღვთაებების განრისხებას და ხეთების ძლიერი ჯარის წინაღმდეგ აღდგომას, რათა დამოუკიდებლობისათვის მიეღწიათ. ხეთები ქვეყნის მთლიანობას მეორე გზითაც ცდილობდნენ - ვასალურ ქვეყანასა და ხეთებს შორის დიპლომატიურ ქორწინებას ამყარებდნენ. მაგ. მითანის, ხაიასას, ამურუსა და უგარიტის მმართველებს - ყველას ხეთი მეფის ასულები ჰყავდათ მეუღლეებად. სხვა ვასალები უზრუნველყოფილები იყვნენ ხეთური ჯარით, რომელიც მათ დედაქალაქს იცავდა. მაგრამ, ფაქტია, რომ ხეთების ლაშქრის ყოფნა ამ ქვეყნებში, უფრო მეტად ვასალებზე თვალყურს ემსახურებოდა, ვიდრე მათ დაცვას.

ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ხელშეკრულება შედგენილია ხეთების „ძველი სამეფოს“ ხანაში, სახელდობრ, თელიფინუს მმართველობის პერიოდში (დაახლ. ქ.წ. 1550-1520 წწ.). ეს იყო ხეთების ამ მეფისა და ქიცუვათნას მეფე ისფუთახსუსთან დადებული ხელშეკრულება (აქადურ და ხეთურ ენებზე). არსებობდა აგრეთვე ხელშეკრულება ხეთების მეფე ციდანთასა და ქიცუვათნას მმართველ ფილიას შორის. ადრინდელ ხელშეკრულებებს ადგენდნენ მხარეთა უფლებების სრულ თანასწორობით.

ხეთების დაპყრობითი პოლიტიკის გაფართოებამ სუფილულიუმ I-ის დროიდან (დაახლ. ქ.წ. 1380 წ.) გამოიწვია ხეთების საგრძნობი აქტივიზაცია ანატოლიის სამხრეთსა და აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ სირიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. ყოველივე ეს იწვევდა აღნიშნულ მხარეებში მდებარე ქვეყნებთან პოლიტიკურ ურთიერთობათა რეგულირებას, გაფორმებულს სპეციალური წერილობითი დოკუმენტით.

ამ ხასიათის დოკუმენტების გაფორმების გარკვეული სქემა უნდა შექმნილიყო სუფილულიუმა I-ის დროიდან, რაც მოგვიანებით სრულყვეს. ხელშეკრულებათა ნაწილი „პარიტეტულია“, ნაწილი კი - „ვასალური“.

„ვასალურ“ ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულება იწყებოდა ხელშეკრულების დამდები ხეთების მეფის შესავლით, რომელშიც აღინიშნებოდა ორი ქვეყნის ურთიერთობათა წინაისტორია. შემდეგ კი გადმოიცემოდა ძირითადი თემა, ანუ მიზანი ხელშეკრულებისა: დაპყრობილი ქვეყნის მეფე ვალდებულებას იღებდა რეგულარულად მიეწოდებინა ხეთებისათვის დამხმარე მეომარი რაზმები (საბრძოლო ეტლებთან ერთად). სისტემატურად ეხადა ხარკი, დროულად ეცნობინებინა ხეთების მეფისთვის მტრის გამოჩენა, ანდა შეთქმულება, უყოყმანოდ დაებრუნებინა ხეთებისთვის ლტოლვილნი და ა. შ. თავისი მხრივ ხეთების მეფე ვალდებულებად იღებდა დახმარებოდა „ვასალს“ მტრის გამოჩენისას. ხელშეკრულების დასტურად მოხმობილი იყვნენ ღვთაებანი, მას ერთვოდა წყევლის ფორმულაც და ა.შ.

„პარიტეტული“ ხელშეკრულების ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ხათუსილი III-სა და ფარაონ რამსეს II-ს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ისტორიაში ერთ-ერთი ადრეული სამშვიდობო ხელშეკრულება უნდა იყოს.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ხეთებსა და მითანის სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულება (სუფილულიუმა I-სა და შათივაზას შორის), რომელთა როგორც აქადური, ისე ხეთური ვერსიის ნაწყვეტები მოგვეპოვება. საინტერესოა, რომ ეს ორი ხელშეკრულება ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც შინაარსობრივად, ისე სტილისტურად. საქმე უნდა გვექონდეს ორი მეფის დაწერილ ვერსიებთან. ვინაიდან ორივე ხათუსაშია აღმოჩენილი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად შათივაზამ გააგზავნა ხათუსაში თავისი ვერსია, რის შემდეგაც, სუფილულიუმამ ხელშეკრულების საბოლოო ვერსია შექმნა:

სუფილულიუმას ვერსია (CTH 51) - ფოკუსირებულია ხეთების მეფის სამხედრო ძლიერებაზე, ისუვას მიწის დაპყრობასა და თუშრათასთან კონფლიქტის კანონიერებაზე. აქ ხაზგასმულია ხეთების როლი, როგორც „მხსნელისა“ და „აღმადგინებლისა“.

შათივაზას ვერსია (CTH 52) - ეს არის უფრო მეტად პერსონალური, დრამატული თხრობა. იგი აღწერს მის გაჭირვებას,<sup>1</sup> მითანის სამეფო კარის ინტრიგებს, შუთარნას ღალატს და იმას, თუ როგორ მივიდა ხეთების მეფესთან „მხოლოდ ერთი შესამოსლით“.

ივარაუდება, რომ ეს დუბლირება ემსახურებოდა ხელშეკრულების ლეგიტიმაციას ორივე მხარისთვის. შათივაზას ვერსია იყო ერთგვარი „აპოლოგია“, რომელიც ხსნიდა, რატომ დაკარგა მითანიმ დამოუკიდებლობა და რატომ აღიარა ხეთების უზენაესობა.

ხელშეკრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი (§ 7) ეხება სუფილულიუმას ქალიშვილის სტატუსს. ხეთების მეფე შათივაზასგან ითხოვს გარანტიას, რომ მისი ქალიშვილი იქნება *პირველი ცოლი* და სწორედ მისი შთამომავლობა (და არა სხვა ცოლებისგან შემენილი) გახდება მითანის ტახტის მემკვიდრე. ეს გახლდათ კლასიკური ხეთური სტრატეგია - დამარცხებული სამეფოების „ოჯახური დიპლომატიით“ ინტეგრირება იმპერიის სტრუქტურაში.

ხელშეკრულების ბოლო ნაწილები (§ 13-15) ეთმობა პანთეონს. საინტერესოა ღვთაებათა სია - *ინდო-არიული ელემენტები* - შათივაზას ტექსტში იხსენიებიან ღვთაებები - *მითრა*,

<sup>1</sup> Beckman, G. (1999).

ვარუნა, ინდრა და ნასათია, რაც ადასტურებს მითანის მმართველი ელიტის არიულ წარმომავლობას.

ასევე საინტერესოა წყევლის ფორმულა - ფიცის გატეხვის შემთხვევაში გათვალისწინებულია ტოტალური განადგურება - უშვილობა, მიწის გადაქცევა „ყინულად“ ან „მარილად“.

### ტექსტებს შორის არსებული ძირითადი განსხვავებები

	სუფილულიუმას ვერსია (ხეთური)	შათივაზას ვერსია (მითანური)
აქცენტი	იმპერიული საზღვრები და ომი	დინასტიური ტრაგედია და გადარჩენა
მითანის სტატუსი	დაპყრობილი და წყალობით აღდგენილი	მოკავშირე და „შვილობილი“
ენა	უფრო ფორმალური, იურიდიული	ნარატიული, თითქმის ლიტერატურული

### ტექსტები:

#### 1. სუფილულიუმა I-ის ხელშეკრულება მითანის მეფე შათივაზასთან

CTH 51: I. აქადური ვერსია: A. KBo 1.1 B. KBo 1.2 C. KUB 3.1a + KUB 3.1b + KUB 3.1c + KUB 3.1d + KBo 28.111 + KBo 28.112 + KBo 28.113 (535/u) + KBo 28.114 ; II. ხეთური ვერსია: KUB 21.18; o = Akk. A rev. 22ff.; iv = obv. 59ff. KUB 26.34 = Akk. A obv. 22ff.

§ 1. როდესაც ჩემი უდიდებულესობა, სუფილულიუმა, დიდი მეფე, გმირი, ხეთების მეფე, ჭეჭა-ჭუხილის ღვთაების რჩეული და ართათა, ხურის მეფე, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, მაშინ თუშრათამ, მითანის მეფემ, მე, ხათის მეფეს, დახმარება მოხოვა. მე, დიდმა მეფემ, გმირმა, ხათის მეფემ, მივხედე მას, თუშრათას, მითანის მეფეს, დავეუფლე ევფრატის დასავლეთ ნაპირს და დავიკავე ლიზანის მთა. მეორედ მეფე თუშრათამ მკითხა: რატომ იპყრობ ევფრატის დასავლეთ მხარეს? თუ შენ იპყრობ, მაშინ მეც დავიპყრობ ევფრატის დასავლეთ მხარეს. მეფე თუშრათამ ასე გადაწყვიტა, რომ დაეპყრო ეს მიწა - თუ შენ იპყრობ, მე რატომ არ უნდა დავიპყრო ისინი, ხალხი და მათი საქონელი? მე გადავალ ევფრატის დასავლეთ ნაწილში. მაშინ მე, დიდმა მეფემ, ხათის მეფემ, დავიცავი ჩემი ღირსება მის წინაშე. ხათის მეფის მამის დროს ისუვას მიწა გახდა ჩვენი მტერი, ამიტომ ხათის ჯარი შევიდა ისუვას მიწაზე. მამაჩემის დროს ქალაქ ქურთალისას ხალხი, ქალაქ არავანას ხალხი, ზაზისას მიწა, ქაქასმას მიწა, თიმანას მიწა, მთა ხალივა, მთა ქარნა, მალა, თურმითას ხალხი, ალხას მიწა, ხურმას მიწა, ხარახანა, თეგარამას ნახევარი მიწა, ქალაქ თეხურზიას ხალხი, ქალაქ ქასქას ხალხი და ქალაქ ხარმათანას ჯარები მტრად მექცნენ. მაგრამ ჩემმა უდიდებულესობამ, სუფილულიუმამ, დიდმა მეფემ, გმირმა, ხათის ქვეყნის მეფემ, ამინდის ღვთაების რჩეულმა, დავამარცხე ისინი. ახლა ის ხალხი, რომლებიც გამექცა (გადამირჩა

ბრძოლის დროს), ისუვას მიწაზე მივიდა და მთელი ეს ხალხი და მიწები, რომლებიც მამაჩემის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილები, ისუვას მიწაზე დასახლდნენ მტრებს შორის.

§ 2. ხოლო მე, ჩემმა უდიდებულესობამ, სუფილულიუმამ, დიდმა მეფემ, ხათის მეფემ, ამინდის ღვთაების რჩეულმა, გავილაშქრე მეფე თუშრათას წინააღმდეგ. გადავლახე ევფრატი და მივედი ისუვას მიწაზე. ხელმეორედ დავამარცხე ისუვა და ხელმეორედ დავიმორჩილე ისინი. ის ხალხი, რომელიც მამაჩემის დროს მივიდა ისუვას მიწაზე: ქალაქ ქურთალისას ხალხი, ქალაქ არავანას ხალხი, ზაზისას ქვეყანა, ქალასმას ქვეყანა, თიმანას ქვეყანა, ხალივას მთა, ხარნას მთა, ქალაქ თურმითას ხალხი, ალხას ქვეყანა, ხურმას ქვეყანა, ხამნას ქვეყანა, თეგარამას ქვეყნის ნახევარი, ქალაქ თეფურზიას ხალხი, ქალაქ ქასქას ხალხი, ქალაქ ხარმათანას ხალხი - ეს ქვეყნები და ხალხი დავამარცხე და დავბრუნდი ხათში. გავათავისუფლე ქვეყნები, რომლებიც დავიპყარი. ისინი კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელს. ის ხალხი, რომელიც გავათავისუფლე, შეუერთდა თავის ხალხს და ხათის ქვეყანამ შემოიერთა მათი ქვეყნები.

§ 3. ხოლო მე, ჩემმა უდიდებულესობამ, სუფილულიუმამ, დიდმა მეფემ, მეფემ ხათის ქვეყნისა, გმირმა, ამინდის ღვთაების რჩეულმა, მივალწიე ალშეს ქვეყანამდე და ქუთმასის რეგიონამდე და მე დავამარცხე ისინი. ანთრათალის საჩუქრად გადავეცი ალშეს მიწა. და მე გავმარცხე და ავაოხრე შუთას რეგიონი. შემდეგ მივალწიე ქალაქ ვაშუქანიმდე ნადავლის ძებნაში. შუთადან წამოვიყვანე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და ცხენები, ხოლო მეფე თუშრათამ თავი ამარიდა და არ წამოვიდა ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად.

§ 4. გადავლახე მდინარე ევფრატი და ხელმეორედ ავაოხრე ალეპო და მუქიში. თავქუვა, ნიას მეფე მეთხლა მშვიდობის ნიშნად, ხოლო თავქუვას ზურგს უკან, მისმა ძმამ, აქი-თეშუბმა, ნიას ქვეყანა ხელთ იგდო. ხეშმია, ასირიამ, ზულქიამ, ხაბახიმმა, ბირიამ და ნირუვაბიმ თავის ფეხოსან და ცხენოსან ლაშქართან ერთად და არახათის მეფე აქიასთან ერთად დაიპყრეს არახათის ქვეყანა, ომი წამოიწყეს და ასე იფიქრეს: მოდი, შევებრძოლოთ დიდ მეფეს, ხათის მეფეს! მე, ხათის მეფემ, დავამარცხე ქალაქ არახათი, შევიპყარი აქია, არახათის მეფე, აქი-თეშუბი, თავქუვას ძმა, მათი მეომრები და წავტყვევე ხათში. შემდეგ ხელთ ვიგდე ქალაქ ქათნა. იქაური ავლა-დიდება ხელთ ვიგდე და ხათში წამოვიღე.

§ 5. შემდგომ გავემურე მუხამის ქვეყნისაკენ, დავიპყარი მთელი მისი მიწები. მათი მეფე თარუბში მარტო გაიქცა, მაგრამ მე ხელთ ვიგდე მისი დედა, მისი ძმები, მისი შვილები და წავიყვანე ხათში. თავიფშარი, თარუბშის ხელქვეითი გავამეფე ქალაქ უქულხათში. შემდეგ გავემურე აფინასკენ, მაგრამ არ მიცდია შემეტია ქალაქ ქუნზასთვის. ხოლო მისი მეფე შუფათრა თავის შვილ აითაქამასთან და ლაშქართან ერთად გამოემურა ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად. ხოლო მე ისინი გავნდევე და მათ მიაშურეს ქალაქ აბზუიას. მაშინ ალყა შემოვარტყი ქალაქ აბზუიას და ხელთ ვიგდე შუთათართი თავის შვილებთან, თავის ლაშქართან ერთად და წარვტყვევე ხათისკენ. მაშინ გავემურე აფინასკენ და აფინას მეფე არივანა და მისი დიდებულები - ვამბადურამი, აქფარუმი და ართაია გამოემურნენ ჩემსკენ საომრად. ხოლო მე ისინი ხათისკენ წარვტყვევე. მეფე თუშრათას თავნებობის გამო მე ვმარცხავდი მთელ ქვეყანას ერთი წლის მანძილზე და შემოვლურთე იგი ხათის ქვეყანას. ლიბანის მთიდან ევფრატის შორეულ ნაპირებამდე მთელი ქვეყანა ჩემი გახდა.

§ 6. ხოლო როდესაც მისმა შვილმა პირი შეკრა თავის ქვეშევრდომებთან, მან მოკლა მამამისი, მეფე თუშრათა. მითანის მშვენიერი ქვეყანა ნანგრევებად იქცა. იგი დაინაწილეს ასურეთმა და ალშემ. ხოლო მე, დიდმა მეფემ, გმირმა, მეფემ ხათის ქვეყნისა, გადავლახე მდინარე, მაგრამ მითანიდან არაფერი წამომიღია. მე შევიტყვე მითანის სიღარიბის შესახებ,

მივეცი მას მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ცხენები. მაგრამ ხურიტებსა და შუთათარას შორის უთანხმოება სუფევდა, მან ჩაიფიქრა უფლისწულ შათივაზას მოკვლა. იგი როგორღაც გამოიქცა და მეახლა მე, ხათის მეფეს. ხოლო მე მივუგე მას - მე აგიყვან შენ, შათივაზა, მეფე თუშრათას ძევ, დაგსვამ მამაშენის ტახტზე, ასე რომ მითანის სამეფო არ დაინგრევა. მე, ხათის მეფე, დავუბრუნებ სიცოცხლეს მითანს ჩემი ქალიშვილის გამო, ვინაიდან მე, ჩემს მფარველობაში მოგაქცევ შათივაზა თუშრათას ძევ და ჩემს ქალიშვილს ცოლად მოგცემ.

§ 7. უფლისწული შათივაზა გახდება მითანის მეფე, ხოლო ხათის მეფის ქალიშვილი გახდება მითანის დედოფალი. შენთვის, შათივაზა, შესამღებელი იქნება სხვა ცოლის ყოლაც, მაგრამ არა ვინ არ უნდა იქცეს ჩემს ქალიშვილზე უპირველეს ცოლად. შენ არ გაქვს უფლება (შენი) სხვა ცოლი იყოს ჩემი ქალიშვილის თანასწორი და დაჯდეს მის გვერდით თანასწორად. იგი უნდა იყოს მითანის ძალაუფლების ნიშანი. შათივაზასა და ჩემი ქალიშვილის შვილები და მათი შვილები უპირატესნი იქნებიან მითანში. მომავალში მითანელებმა არ უნდა ისურვონ უფლისწულ შათივაზას, ჩემი ქალიშვილის, ანუ დედოფლის, მათი შვილებისა და შვილიშვილების წინააღმდეგ აჯანყება. მომავალში უფლისწული შათივაზა იქნება ჩემი შვილების ძმა და თანაწორი, (ხოლო მისი შვილიშვილები) იქნებიან ჩემი შვილიშვილების თანასწორნი.

§ 8. მომავალში ხეთებმა და მითანელებმა ერთმანეთს (არ უნდა) შეხედონ ბოროტი თვალთ. ხეთები არ ჩაიდენენ ბოროტებას მითანელების წინააღმდეგ, (ხოლო მითანელები) არ ჩაიდენენ ბოროტებას ხეთების წინააღმდეგ. როდესაც ხათის მეფე წავა ომში, მითანის მეფემ (უნდა შეუტოს ხეთების) ყველა მტერს. თუ ვინმე არის მითანის მტერი, მაშინ ის იქნება ხეთების (მტერი). ხათის მეფის (მეგობარი იქნება მითანის) მეფის მეგობარი.

§ 9. უკეთუ ლტოლვილი გაიქცევა ხათის ქვეყნიდან და მივა მითანის ქვეყანაში, მითანელებმა უნდა შეიპყრონ და დააბრუნონ (იგი). უკეთუ ლტოლვილი მითანიდან (გაიქცევა ხათის ქვეყანაში), ხათის მეფემ არ უნდა შეიპყროს იგი და არ უნდა დაუბრუნოს იგი (მითანს). ეს არ არის წესი.

§ 10. მე, დიდმა მეფემ, მეფემ ხათის ქვეყნისა, და ვიპყარი მითანი. მე არ დამიპყრია იგი უფლისწულ (შათივაზას) დროს. მე იგი დავიპყარი თუშრათას მეფობის დროს. მდ. ევფრატის არის (ჩემი საზღვარი). საზღვრად დავიდგინე ლიბანის მთა და (ქარგამიშის ქვეყნის) ქალაქები: მურმურიქი, შიფრი, მაქზუვათი და შურუნი). ქარგამიშის ქვეყნის ეს ქალაქები გადავეცი (ფიასილის), ჩემს ძეს. ყველა ქალაქი, რომელიც მდებარეობს აშთათას ქვეყნად, (მდ. ევფრატის) დასავლეთ ნაპირზე მითანის ქვეყანაში - ექალთე, ... აფუნა და თერქა. ისინი ეკუთვნის აშთათას ქვეყანას. ხოლო მას შემდეგ, რაც უფლისწულმა ფიასილიმ გადაკვეთა მდ. ევფრატი (უფლისწულ) შათივაზასთან ერთად და მიაღწია ქალაქ ირითს, ყველა ქალაქი დასავლეთით, რომელიც უპყრია ფიასილის, (ჩემს ძეს), ეკუთვნის ფიასილის.

§ 11. ხოლო მე, დიდმა მეფემ, მეფემ ხათის ქვეყნისა, ავაყვავე მითანის სამეფო და დავადგინე იგი თავის ძველ ადგილას. ამიერიდან თქვენ არ უნდა იმოქმედოთ დამოუკიდებლად, არ უნდა აღძრათ შუღლი და არ უნდა შეიერთოთ მეტი მიწები. უფლისწულ შათივაზასა და უფლისწულ ფიასილის - მათი მიწები იქნება... უკეთუ ფიასილის ქალაქი საიდუმლოს მისწერს შათივაზას, მაშინ შათივაზამ უნდა გასცეს საიდუმლო, ანდა უნდა შეიპყროს მაცნე და გაუგზავნოს ფიასილის, თავის ძმას, უკეთუ შათივაზა მისწერს ფიასილის საიდუმლოდ. ფიასილიმ და შათივაზამ ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს.

§ 12. უკეთუ შათივაზა მოუხმობს ფიასილის რჩევისათვის, შათივაზამ არ უნდა ჩაიფიქროს ცუდი ფიასილის წინააღმდეგ და მან არ უნდა უბრძანოს სხვებს ფიასილის წინააღმდეგ ცუდის გაკეთება. უკეთუ ფიასილი მოიწვევს შათივაზას ქარგამისში რჩევისათვის, ფიასილიმ არ უნდა ჩაიფიქროს რამე ცუდი შათივაზას წინააღმდეგ. შათივაზას ქალაქები მდებარეობს ევფრატის ნაპირზე, თუმცა, მან აღარ უნდა დაიპყროს სხვა ქალაქები მდინარის სანაპიროზე.

§ 13. ამ ფირფიტის ასლი ეკუთვნის ქალაქ არინას მზის ქალღვთაებას, ვინაიდან, ქალაქ არინას მზის ქალღმერთი განაგებს მეფისა და დედოფლის მმართველობას, ხოლო მითანში მისი ასლი ეკუთვნის ჭექა-ქუხილის ღვთაებას, ქართის ურინის. იგი უნდა იკითხონ განმეორებით მანამ, სანამ იარსებებს მითანი და ხური, რადგანაც სანამ ჭექა-ქუხილის ღმერთი შეცვლის ამ ფირფიტას ან დადებს საიდუმლო ადგილას - ამ ხელშეკრულების დასაცავად მოვიწვიეთ საიდუმლოების ღვთაებანი და ღვთაებანი, რომლებიც არიან ფიცის მოწმეები. მათ უნდა მოუსმინონ და იყვნენ მოწმეები - ქალაქ არინას მზის ქალღმერთი, რომელიც მფარველობს მეფისა და დედოფლის ხელისუფლებას ხათიში, მზის ღვთაება, ჭექა-ქუხილის ღვთაება, ზეცის ღვთაება, ხათის ღვთაება, შერი, ხური, ნანას მთა, ხაზის მთა, ჭექა-ქუხილის ღვთაება, ჯარის ღვთაება, ფითიარიქის ჭექა-ქუხილის ღვთაება, ნერიქის ჭექა-ქუხილის ღვთაება, ალეპოს ჭექა-ქუხილის ღვთაება, ლიცინას ჭექა-ქუხილის ღვთაება, სამუხას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ხურმას ჭექა-ქუხილის ღვთაება, სარისას ჭექა-ქუხილის ღვთაება, საფინუვას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ხისასაფას ჭექა-ქუხილის ღვთაება, თარაიას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქიცუვათნას ჭექა-ქუხილის ღვთაება, უდას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ხათის მცველი ღვთაება, ლელვანი, ეა, დამქინა, თავინიას თელიფინუ, თურმითას თელიფინუ, ხანხანას თელიფინუ, იშთარი, აშქასეფა, დიდი მცველი, მთვარის ღვთაება, ფიცის ღვთაება, იშხარა, ფიცის ქალღმერთი, ხებათი, სამოთხის დედოფალი, ალეპოს ხებათი, უდას ხებათი, ქიცუვათნას ხებათი, ომის ღვთაება, ხათის ომის ღვთაება, ილაიას ომის ღვთაება, არციას ომის ღვთაება, იარი, ზაფუნა, ხასამილი, ხურმას ხანთითასუ, სამუხას აბარა, ანქუვას ქათახნა, ქათაფას დედოფალი, თაფირას ამამა, ფინას ქალარა, ხუფინას ხუვასანა, ლანდას ქალბატონი, ლანდას ქუნიავანი, მთაზე მობინადრე ღვთაებანი, ხათის მცველი ყველა ღვთაება და ქალღვთაება, ქიცუვათნას ქვეყნის მცველი ყველა ქალღვთაება და ღვთაება, ღვთაებანი - ნარა, ნამსარა, ნინქი, ამუქი, თუსუსი, ამიზადუ, ალალუ, ანუ, ანთუ-ენლილი, ნინლილი, ბელეთ-ექალი, მთები, მდინარეები, ზღვა, ევფრატი, ცა და დედამიწა, ქარები და ღრუბლები.

§ 14. ჭექა-ქუხილის ღვთაება, ზეცისა და დედამიწის მეუფე, მთვარის ღვთაება და მზის ღვთაება, ხარანის მთვარის ღვთაება, ზეცისა და მიწისა, ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქახათის ქურინუს ღვთაება, ჭექა-ქუხილის ღვთაება, უხუსხუმანის ღვთაება, ეა-შარი, ანუ, ანთუ, ენლილი, ნინლილი, მითრას ღვთაებანი, ვარუნას ღვთაებანი, ნასათიას ღვთაებანი, მიწისქვეშა ჩანჩქერები, სამანმინუხი, ჭექა-ქუხილის ღვთაება, ვაშუქანის ღვთაება, ჭექა-ქუხილის ღვთაება, ირითის ტამრის ადგილის ღვთაება, შუთას სიფართახი, ნაბარბი, შურუნი, იშთარი, სადამოს ვარსკვლავი, შალა, მელეთ-ექალი, დამქინა, იშარა, მთები და მდინარეები, სამოთხის მცველი ღვთაებანი, დედამიწის მცველი ღვთაებანი.

§ 15. მათ ყური უნდა მიუგდონ და უნდა იყვნენ მოწმეები ამ ხელშეკრულებისა. თუკი თქვენ, უფლისწულო შათივაზა და თქვენ, ხურიტებო, არ გაითვალისწინებთ შეთანხმების სიტყვებს, ღვთაებანი გაგანადგურებენ, თქვენს ქვეყანასთან, ცოლებთან და მომხრეებთან ერთად. თქვენ ვერ აიღებთ მოსავალს, ასე რომ შენს სხვა ცოლთან ერთად (რომელიც ჩემი შვილის ადგილას შეიძლება გყავდეს) და თქვენ, ხურიტებო, თქვენს ცოლებთან და

შვილებთან ერთად არ გეყოლებათ შთამომავლობა. ხოლო ის ღვთაებანი, რომლებიც არიან ფიცის მფარველები, მოგივლენენ სიღარიბეს და გაჭირვებას და შენ, შათივაზა, ისინი წაგართმევენ ტახტს, ფიცის ღვთაებანი ჩამოგაგდებენ დაბლა, როგორც სახურავის ლერწამს, შენს ქვეყანასთან ერთად, შენ და შენი შთამომავლობა გაქრებით. ხოლო შენ, შათივაზა, შენს ქვეყანასთან ერთად, იმის გამო, რომ არ დაემორჩილე ღვთაებებს, განადგურდები. მიწა ყინულად გადაიქცევა, რომელზეც შენ დაცურდები. მიწა შენი ქვეყნისა იქცევა ..., ისე, რომ ვერ გადალახავ მას. შენ, შათივაზა და თქვენ, ხურიტებო, გახდებით მტრები ათასი ღვთაებისა.

§ 16. თუკი შენ, შათივაზა და თქვენ, ხურიტებო, დაიცავთ ამ შეთანხმებას და ფიცს, ეს ღვთაებანი დაგიცავენ თქვენ, შათივაზა, შენს ცოლ თან ერთად, ხათის მეფის ქალიშვილთან ერთად, შენს ვაჟებთან და შვილიშვილებთან ერთად. მითანი ძველებურად აღდგება, ისევ აყვავდება და გაცოცხლდება. შათივაზა, შენი შვილები და შვილიშვილები, რომლებიც გეყოლება ხათის დიდი მეფის ქალიშვილისგან - ხურიტები მიიღებენ თქვენს მეფობას და სამუდამოდ ისხდებით ტახტზე, სანამ იარსებებს მითანი.

## 2. მითანის მეფე შათივაზას ხელშეკრულება ხათის მეფე სუფილულიუმ I-თან

CTH 52: I. აქადური ვერსია: KBo 1.3 (+) KUB 3.17; II. ხეთური ვერსია: HT 21 + KUB 8.80 + 219/w + KUB 23.50

§ 1. ასე ამბობს შათივაზა, თუშრათას ძე, მითანის მეფე: სანამ შუთარნა, ართათამუს მეფე ... მითანის სამეფოს... მეფე ართათამა... მისი მამა არ იყო მართალი. მან გამოიყენა მეფეთა სასახლე თავის საგანძურთან ერთად და დახარჯა ყველაფერი ასურეთისათვის და ალშესათვის მისამღვნელად. მეფე თუშრათამ, მამაჩემმა, ააშენა სასახლე და აავსო იგი დოვლათით, მაგრამ შუთარნამ გაანადგურა იგი. ... მეფეების ვერცხლი და ოქრო და ვერცხლის საგანძური სასახლიდან. იმ სიმდიდრიდან, რომელიც მას მამისგან ჰქონდა ბოძებული, არავის არაფერი არ უწილა და მითანში. ხოლო მან თავი დაიმცირა ასურეთის, მისი მამის ქვეშევრდომების წინაშე და უძღვნა მას მთელი სიმდიდრე.

§ 2. ასე ამბობს შათივაზა, თუშრათას ძე - ოქროსა და ვერცხლის კარები, რომლებიც ჩემმა ბაბუის ბაბუამ, მეფე საუშთათარმა წამოიღო ასურეთიდან, როგორც დიდების ნიშანი და ჩამოვიდა თავის სასახლეში, ვაშუქანიში, მისდა სასირცხვილოდ შუთარნამ იგი დაუბრუნა ასურელებს. მან დახარჯა მთელი სიმდიდრე. მან ქვეყანა სიბილწით აავსო, დაანგრია სასახლე. მან ბოლო მოუღო ხურიტებს. მაგრამ ხათი-თემუბი შევიდა ბაბილონში. ორი ათასი მეომარი წავიდა მასთან ერთად და ბაბილონის მეფემ მისი მოკვლა გადაწყვიტა. მას უნდოდა ჩემი, შათივაზას მოკვლა, მაგრამ მე გავექეცი მას და მივმართე მისი უდიდებულისობის, სუფილულიუმას, დიდი მეფის ღვთაებებს. მათ გამიყვანეს სამშვიდობოს... ხათის მეფის ღვთაებებმა და მითანის მეფის ღვთაებებმა მომცეს საშუალება მივსულიყავი მის უდიდებულისობასთან, სუფილულიუმასთან.

§ 3. მდ. მარასანთისათან მე ჩავუვარდი ფეხებში მის უდიდებულისობას, სუფილულიუმას. დიდმა მეფემ მომიკიდა ხელი და გამომკითხა მითანის შესახებ. ხოლო როდესაც მოვუყევი და პასუხი გავეცი, მან მითხრა: მე შენ მიგიღებ, როგორც ჩემს ვაჟს, ვიქნები შენი შემწე და დაგეხმარები მამის ტახტის დაბრუნებაში. ღვთაებებმა იციან, რომ მე, დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა, სუფილულიუმა, გმირი, ჭექა-ქუხილის ღვთაების რჩეული, არასოდეს ვივიწყებ ჩემს პირობას. მაშინ მე, თუშრათას ძემ, უფლისწულმა

შათივაზამ მივუგე: თუ თქვენ, ჩემო მეუფევ, მაჩუქებთ სიცოცხლეს და ღვთაებები დამეხმარებიან, მაშინ მე ვიქნები მითანის მმართველი. შუთარნამ უბედურება მოუტანა ქვეყანას, მაგრამ მე ცუდს არაფერს მოვიმოქმედებ.

§ 4. ხოლო მაშინ, მე უფლისწული შათივაზა, როდესაც ვეახლე დიდ მეფეს, მყავდა მხოლოდ სამი მეეტლე, ორი ხურიტი და ორი სხვა თანმხლები, რომლებიც წამოვიდნენ ჩემთან ერთად და მხოლოდ ერთი შესამოსელი მქონდა, რომელიც მეცვა, მეტი არაფერი. დიდმა მეფემ დიდსულოვნება გამოიჩინა და მიბოძა ოქროთი შემკული მეომრები, ეტლები და ცხენები ... მსახურები, ცხენი, ორი ვერცხლის და ოქროს ჭურჭელი, თავის ვერცხლისა და ოქროს ჭიქებთან ერთად, ვერცხლის ნივთები აბაზანისთვის და ყველანაირი ხელოსნობისთვის. მან მე ფიასილისთან მიმიყვანა და ჩამაბარა ფიასილის და მის ჯარს. ქალაქ ქარგამიშიდან, სადაც ჩვენ მივედით, მაცნე გავუგზავნეთ ქალაქ ირითის მოსახლეობას. მაგრამ შუთარნას დამორჩილებული ჰყავდა ის ხალხი თუმრათას სიმდიდრის გამო. ჩვენ მაცნე გავუგზავნეთ ქალაქ ირითის მოსახლეობას, მათ კი გვიპასუხეს: „რატომ მოდიხართ? რატომ გინდათ ომი, რომელშიც დამარცხდებით?“ მაშინ ჩვენ, უფლისწულმა ფიასილიმ და უფლისწულმა შათივაზამ გადავკვეთეთ ევფრატი და გავეშურეთ ქალაქ ირითისაკენ საომრად.

§ 5. (ასურელები...) გაგზავნეს იგი, რათა ალყა შემოერთყა ქალაქ ვაშუქანისთვის და მისცეს მას ჯარი. მაგრამ როდესაც იგი მოუახლოვდა ქალაქს, ვაშუქანის მოსახლეობამ უარი თქვა მშვიდობაზე, მაგრამ როდესაც ასურელების ჯარმა ალყა შემოართყა ვაშუქანის, ჩვენ - უფლისწული ფიასილი და უფლისწული შათივაზა - ქალაქ ირითში ვიმყოფებოდით. მოვიდა მაცნე ჩვენთან ქალაქ ვაშუქანიდან და ასე გვითხრა - „ასურეთის ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი ჩვენსკენ მოდის საომრად. მაშინ ჩვენ გარეთ გავედით, ხოლო ისინი მოვიდნენ ჩვენს შესახვედრად და ასე გვითხრეს: 'ქალაქის ჭიშკართან და ასურეთის ჯარი'. იგი წავიდა, მაგრამ როდესაც ჩვენსკენ შემობრუნდა... ხოლო ჩვენ ავედით ზემოთ, ვაშუქანისკენ... ხოლო ქალაქი ფაქარიფა... მობრუნდა და როდესაც (ქალაქ ფაქარიფას ხალხმა) შეიტყო, რომ (უფლისწული) ფიასილი და (უფლისწული) შათივაზა თავის ფეხოსან და ცხენოსან ლაშქართან ერთად ქალაქ ვაშუქანისკენ დაიძრა... ქალაქ აქრიფას მოსახლეობა გახდა ხათის მოკავშირე და ჩვენ (წავედით) ვაშუქანიდან და მივედით ქალაქ ფაქარიფაში. ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ „ასურელები თქვენს წინააღმდეგ მოდიან საომრად“. მაგრამ ასურელები არ ჩანდნენ, მაშინ ჩვენ ასურელებისკენ გავწიეთ ქალაქ ნილაფშინიშისკენ, მაგრამ არც იქ მოვიდნენ ჩვენთან საომრად.

§ 7. ...

§ 8. ამ ფირფიტის ეს ასლი არის მოწმობა მითანის მიწისათვის ჭექა-ქუხილის ღვთაებისა, ქახათის ქურინუს ღვთაებისა, ის უნდა მრავალჯერ იკითხონ მითანისა და ხურიტების წინაშე მუდმივად. ამგვარად, სანამ ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქახათის ქურინუს ღვთაება შეცვლიან ამ ფირფიტას და დადებენ წმინდა ადგილას - ამ ხელშეკრულების დასაცავად მოვიწვიეთ საიდუმლოების ღვთაებები და ღვთაებანი, რომლებიც არიან ფიცის დასტურნი. მათ უნდა მოუსმინონ და იყონ მოწმეები - ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, რომელიც მფარველობს მეფისა და დედოფლის ხელისუფლებას ხათში, მზის ქალღვთაება, ზეცის ღვთაება, ბაზრის ღვთაება, ჭექა-ქუხილის ღვთაება, ლაშქრის ღვთაება, ჭექა-ქუხილის ღვთაება, დახმარების ღვთაება, ფითიარიქას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ ნერიქის ჭექა-ქუხილის ღვთაება, ჭექა-ქუხილის ღვთაება, დამარცხებული სახელმწიფოების ღვთაებანი, ქალაქ ალეპოს ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ ლიხცინას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ სამუხას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ ხურმას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ სარისას ჭექა

ქუხილის ღვთაება, ქალაქ საფინუვას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ ხისაშაფას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ თახაიას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ ... ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ ქიცუვათნას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ უდას ჭექა-ქუხილის ღვთაება, ხათის მცველი ღვთაება, ქალაქ ქარახნას ღვთაება, ზითარია, ქარზი, ხაფანთალია, სოფლების მცველი ღვთაება, მონადირის ჩანთის მცველი ღვთაება, ლელვანი, ეა, დამქინა, თელიფინუს თავინია, თელიფინუ ქალაქ თურმითასი, ქალაქ ხანხანას თელიფინუ, ამაყი იშთარი, ასქასეფა, დიდი მცველი, მთვარის მცველი ფიცის ღვთაება, იშხარა, ფიცის დედოფალი, ხებათი, ზეცის დედოფალი, ალეპოს ხებათი, უდას ხებათი, ქალაქ ქიცუვათნას ხებათი, ომის ღვთაება ხათისა, ილაიას ღვთაება, ქალაქ არციას ომის ღვთაება, ცისარტყელას ღვთაება, ზაფანა, ხასამილი, ხანთითასუ ქალაქ ხურმასი, ქალაქ ლანდას ქალბატონი, ქალაქ ხუფისნას ხუვასანა, ქალაქ ლანდას ქუნიავანი, მთაში მოზინადრე ღვთაებანი, ხათის მცველი ქალღვთაებანი და ღვთაებანი, ქალაქ ქიცუვათნას ქვეყნის ღვთაებანი და ქალღვთაებანი, ერეშქიგალი, ღვთაებანი – ნარა, ნამსარა, მინქი, ამუნქი, თუხუსი, ამიზადუ, ალალუ, ანუ, ანთუ, ენლილი, ნინლილი, ბელეთ-ექალი, ტბები, მდინარეები, ტიგროსი და ევფრატი, ზეცა და დედამიწა, ქარები და ღრუბლები.

§ 9. მათ უნდა მოუსმინონ და იყვნენ მოწმეები ამ შეთანხმების სიტყვებისა. თუ შენ, შათივაზა და თქვენ, ხურიტებო, არ გაითვალისწინებთ ამ ხელშეკრულების სიტყვებს, ეს ფიცის ღვთაებანი გაგანადგურებენ შენ, შათივაზა და თქვენ, ხურიტებო, თქვენს ქვეყანასთან, თქვენს ცოლებთან, თქვენს შვილებთან და თქვენს ახლობლებთან ერთად. ისინი დაგანაყავენ, როგორც ალას ჩენჩოს და ვერავინ მიიღებს მოსავალს... თუკი შენ, შათივაზა, ... , ამიტომ შენს სხვა ცოლებთან ერთად, რომლებიც შეიძლება გყავდეს (ჩემი ქალიშვილის ნაცვლად) და თქვენ, ხურიტებო, თქვენს ცოლებთან და შვილებთან ერთად არ გეყოლებათ შთამომავლობა. ხოლო ეს ღვთაებანი, ფიცის ღვთაებანი, მოგივლენენ სიღარიბეს და გაჭირვებას. და ისინი ჩამოგადებენ ტახტიდან, შენ, შათივაზა. ეს ფიცის ღვთაებანი ჩამოგადებენ დაბლა, როგორც სახურავის ლერწამს, შენს ქვეყანასთან ერთად. შენი სახელი და შთამომავლობა, რომელიც შეიძლება გყავდეს სხვა ცოლისგან, უმალ გაქრებით ამ ქვეყნიდან. ხოლო შენ, შათივაზა, შენს ქვეყანასთან ერთად, იმის გამო, რომ არ დაემორჩილე ქალღვთაებებს, ამოწყდები, მიწა ყინულად გადაიქცევა, რომელზეც შენ მოცურდები. შენი ქვეყნის მიწა იქნება ..., რომელსაც შენ ვერ გადალახავ. შენ, შათივაზა და თქვენ, ხურიტებო, იქნებით მტრები ათასი ღვთაებისა და ისინი გაგანადგურებენ თქვენ.

§ 10. თუკი შენ, შათივაზა და თქვენ ხურიტებო, დაიცავთ ამ შეთანხმებას და ფიცს, ეს ღვთაებანი დაგიცავენ თქვენ. შათივაზა, ხათის დიდი მეფის ქალიშვილთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად და თქვენ, ხურიტებო, თქვენს ცოლებთან და შვილებთან და ქვეყანასთან ერთად. ხოლო მითანის ქვეყანა დაუბრუნდება ძველებურ დიდებას. ის აყვავდება და განივრცობა. ხოლო შენ, შათივაზა, შენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, რომლებიც გყავს ხათის მეფის, დიდი მეფის ქალიშვილისგან, ისინი მიიღებენ მეფობას სამუდამოდ, სანამ იქნებიან მამის ტახტზე, მითანის არსებობის დასასრულამდე.

§ 11. ზეცისა და დედამიწის ჭექა-ქუხილის ღვთაება, მთვარის ღვთაება და მზის ღვთაება, ქალაქ ხარანის მთვარის ღვთაება, დედამიწისა და ზეცისა, ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ ქარათის ღვთაება, ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ ქურინუს ქარათის ღვთაება, ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ უშუშუმანის ღვთაება, ვარუნა ღვთაებანი, ინდრა, ანასათია ღვთაებანი, მიწისქვეშა წყლები, შამანმინუხი, ჭექა-ქუხილის ღვთაება, ქალაქ ვაშუქანის ღვთაება, ქალაქ ირითის ტაძრის ჭექა-ქუხილის ღვთაება, ნაზარბი, შურუხი, იშთარი, ვარსკვლავი შალა, ბელეთ-ექალი, აიაქიშრინის ქალღვთაება, იშხარა, შუთას ფართარი, მთები, მდინარეები,

ნაკადულები, ზეცისა და მიწის მფარველები. თუ მე, უფლისწული შათივაზა და ხურიტები არ გავითვალისწინებთ ამ ხელშეკრულების სიტყვებს და ფიცს, დაე მე, შათივაზა, ჩემს ცოლთან, შვილებთან და ჩვენს ქვეყანას თან ერთად, როგორც მოჭრილ ხეს, აღარ აქვს ახალი ყლორტები, ისე შენ, შათივაზა, შენს სხვა ცოლებთან ერთად, რომლებიც შეიძლება გყავდეს ხათის მეფის ქალიშვილის გარდა, და თქვენ ხურიტებო, თქვენს ქვეყანასთან, თქვენს ცოლებთან, თქვენს შვილებთან ერთად არ გეყოლებათ შთამომავლობა, როგორც წაქცეულ ხეს არ შეიძლება ჰქონდეს ახალი ყლორტები, როგორც წყლის მიღში გამდინარე წყალი უკან ვერ დაბრუნდება თავის ძველ ადგილზე, დაე ჩვენც, ამ წყლის მსგავსად, აღარ დავბრუნდეთ ჩვენს ადგილებზე. დაე, მე, შათივაზა, ჩემს სხვა ცოლთან ერთად, რომელიც შესაძლებელია მყავდეს და თქვენ, ხურიტებო, ჩვენს ქვეყანასთან ერთად, ჩვენს ცოლებთან ერთად, ჩვენს შვილებთან ერთად, არ გვეყოლოს შთამომავლობა, როგორც მარილს არ აქვს თესლი. დაე, ჩვენ ვიყოთ მსგავსი მარილის დამდნარი გროვისა. მე, შათივაზამ, თუკი ჩემი რომელიმე ცოლი, რომელიც შეიძლება მყავდეს ..., დაე წამართვან გვირგვინი. თუ ჩვენ არ დავიცავთ ამ ხელშეკრულებას და ფიცს. ღვთაებანი, ფიცის მცველები, გაგვანადგურებენ ჩვენ. ამგვარად. თქვეს უფლისწულმა შათივაზამ და ხურიტებმა: თუკი ჩვენ დავიცავთ ამ ხელშეკრულებას და ფიცს, რომელიც მივეცით სუფილულიუმას, დიდ მეფეს, მეფეს ხათის ქვეყნისა, გმირს, ჭექა-ქუხილის ღვთაების რჩეულს, ღვთაებანი, ვინც ჩვენ მოვიხმეთ, ჩვენს გვერდით იქნებიან, გაგვადლიერებენ, და დაგვიცავენ. ისინი კეთილად განეწყობიან ჩვენს მიმართ. დაე, ჩვენი მეუფე შათივაზა იყოს ჩვენი წინამძღოლი და ვისიამოვნოთ მისი მფარველობის ქვეშ აღებული მდიდარი მოსავლით. დაე, ჩვენ გამოვცადოთ ქალღმერთის მფარველობა და მშვიდობა. ჭექა-ქუხილის ღვთაება, ზეცისა და მიწის არხის ზედამხედველი იქნება ჩვენი მშველელი სამუდამოდ. დაე, შათივაზამ, და ჩვენ, ხურიტებმა, და მითანის ქვეყანამ, მიიღოს გულის სიამოვნება და გონების სიმშვიდე სამუდამოდ. როგორც მისი უდიდებულესობა, სუფილულიუმას, დიდ მეფეს, გმირს, მეფეს ხათის ქვეყნისა, ჭექა-ქუხილის ღვთაების რჩეულს უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი ლაშქარი, თავისი შვილები და შვილიშვილები, ისევე ვეყვარებით ჩვენ, თავისი მეგობრები - მე, შათივაზა, ჩვენ, ხურიტები და მითანის ქვეყანა ჩვენს მიწებთან და ქონებასთან ერთად სამარადისოდ!

### ხანიგალბათი (= მითანი) ხანიგალბათის მეფის წერილი ხათის მეფეს

§ 1. ასე უთხარი მის უდიდებულესობას, ჩემს მამას - ასე ამბობს ხანიგალბათის მეფე, შენი ვაჟი:

§ 2. დაე, მისი უდიდებულესობა, მამაჩემი, დღეგ რძელი იყოს!

§ 3. ჩემი ნდობა მის უდიდებულესობას, მამაჩემს მივეცი. მე შემდეგნაირად ვამბობ: „დაე მისმა უდიდებულესობამ ილაპარაკოს, როგორც ჩემმა მამამ და ასე თქვას:

§ 4. რა ვაწყენინე მე ჩემს მამას, რომ ხალფა-ციტიმ, ალეპოს მეფემ და ეხლი-შარუმამ, ისუვას მეფემ მოგწერეს შენ?

§ 5. თუკი კაცს ჰყავს ორი მოწინააღმდეგე და ერთი სარჩელს წაუყენებს, მაგრამ მეორე არ წაუყენებს სარჩელს, ... . ახლა ასურეთის მეფემ, ჩემმა მტერმა დასვა კითხვა და მისმა უდიდებულესობამ, მამაჩემმა, გაიგონა, როგორ იმოქმედა ტაროსის ღვთაებამ, ჩემმა ბატონმა.

§ 6. მე ვიჯექი შინამუს ქალაქში და ეხლი-შარუმამ გამომიგზავნა თავისი მაცნე და შემომითვალა: „დაე მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომები...!“

§ 7. და მე გამოვედი დურუნი...-ს ქვეყნიდან. მე და ვასრულე... და იგი გამოვიდა ...-ს ქვეყნიდან... .

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

- დამბაშიძე მ. (2012). ხეთური დიპლომატია, ასირიოლოგია, ბიბლიესტა და კავკასიოლოგია საზოგადოების ბიბლიოთეკა 9, აკადემიური წიგნი, თბილისი.
- დამბაშიძე მ. (2026). ძველადმოსავლური სახელმწიფო ხელშეკრულებები, აკადემიური წიგნი, თბილისი.
- Beckman, G. (1999). Hittite Diplomatic Texts. Scholars Press.
- Weidner, E. (1923). Politische Dokumente aus Hittu-Schrift.
- Podany, A.H. (2010). Brotherhood of Kings: How International Relations Shaped the Ancient Near East. Oxford University Press.

### REFERENCES

- Gambashidze, M. (2012). *Kheturi diplomatia. Assiriologta, Bibleistta da Kavkasiologta Sazogadoebis Biblioteka 9, Akademiuri Tsigni.* [Hittite Diplomacy (Library of the Society of Assyriologists, Biblical Studies and Caucasiologists 9). Akademiuri Tsigni.]
- Gambashidze, M. (2026). *Dzvelaghmosavluri sakhelmtsipo khelshekrulebebi. Akademiuri Tsigni.* [Ancient Near Eastern State Treaties. Akademiuri Tsigni.]
- Beckman, G. (1999). Hittite Diplomatic Texts. Scholars Press.
- Weidner, E. (1923). Politische Dokumente aus Hittu-Schrift.
- Podany, A. H. (2010). Brotherhood of Kings: How International Relations Shaped the Ancient Near East. Oxford University Press.